

ბიოგრაფია
(გიორგი კალანდარიშვილი)

მე, გიორგი სამსონის ძე კალანდარიშვილი, დავიბადე 1984 წლის 27 ივლისს ქ. ქუთაისში. ვსწავლობდი ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სკოლაში, რის შემდგომაც ბოლო 2 წელი ვისწავლე და 2001 წელს დავამთავრე ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა. სკოლის დასრულებისთანავე, იმავე წელს ჩავირიცხე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 2005 წელს წარჩინებით დავამთავრე აღნიშნული უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მომენიჭა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის სპეციალისტის კვალიფიკაცია (ბაკალავრის ხარისხით). ასევე, ვსწავლობდი და 2006 წელს წარჩინებით დავამთავრე ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია (მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხით).

2004 წელს სტაჟირება გავიარე იმერეთში სახელმწიფო რწმებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. იმავე წელს რამდენიმე თვით გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში, საზაფხულო სამუშაო/სასწავლო პროექტის ფარგლებში.

2005-2008 წლებში ვმუშაობდი სააქციო საზოგადოებებში მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით.


2008 წელს ჩავაბარე გამოცდა და მივიღე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, რის საფუძველზეც, კონკურსის წესით, დავინიშნე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად. ერთი წლის შემდეგ დავინიშნე ამავე უწყების იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსად. 2011 წელს, ცესკოში ჩამოყალიბდა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭო და დავინიშნე აღნიშნული საბჭოს მდივნად.

2019 წელს დავინიშნე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსად. 2021 წელს უწყებაში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, დეპარტამენტს დაემატა შრომის უსაფრთხოების მიმართულება და შესაბამისად 2021 წლის 25 მაისიდან დავინიშნე ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე, რომელსაც ვიკავებდი 2021 წლის 3 აგვისტომდე, ცესკოს თავმჯდომარედ არჩევამდე. ამასთანავე, 2021 წლის 8 აპრილიდან 2021 წლის 20 აგვისტომდე, ვიკავებდი საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

2018-2019 წლებში, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაინერგა საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015. 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2021 წლის 30 აგვისტომდე, წარმოვადგენდი ხსენებული სტანდარტის შესაბამისად ცესკოს ხარისხის მენეჯერს და აღსანიშნავია, რომ ჩემი ამ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში, უწყებამ 2-ჯერ წარმატებით გაიარა საერთაშორისო ყოველწლიური საკონტროლო აუდიტი.

2019 წლის 30 სექტემბრიდან 2021 წლის 20 აგვისტომდე ვიყავი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს წევრი.

2021 წლის 3 აგვისტოდან - დღემდე, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ვიკავებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას.


30.12.2021